

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

ოქმი N 3

ხაშური

2019 წლის 5 მარტი

14:00 საათი

სხდომის თავმჯდომარე: - ზვიად ტეფნაძე

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის წევრები: გიორგი ბერაია, ვაჟა ხარშილაძე, ლაშა ლურსმანაშვილი, მიხეილ კაპანაძე, ალექსანდრე სიმონიშვილი, ელზა კიკაძე, ელგუჯ გოგალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სპეციალისტი რიტა ქურდაძე, საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი-მურმან ცენგერაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: ალექსანდრე ჩიქოვანი-მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების ხელმძღვანელი (მომხსენებელი I საკითხზე), მარიამ გოგალაძე-ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების ხელმძღვანელი (მომხსენებელი III საკითხზე)

კომისიის სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა კომისიის 8 წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი (პროექტი)

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის თავმჯდომარის ალექსანდრე ჩიქოვანის ანგარიში.

მომხს. ა. ჩიქოვანი

2. ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვა.

მომხს.ზ.ტეფნაძე

3. ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის შესყიდვის შედეგების განხილვა.

მომხს.მ.გოგალაძე

4. ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლისთვის“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან 138.6 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ-ის არსებობის ვადით გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ მერიიდან წარმოდგენილ პროექტის განხილვა.

მომხს.ა.ჩიქოვანი

5. ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლისთვის“ ხაშურის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მსუბუქი კონსტრუქციის კონტეინერის პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ მერიიდან წარმოდგენილ პროექტის განხილვა.

მომხს.ა.ჩიქოვანი

6. შპს „ვიონი საქართველო“-სთვის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით ფართის გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ მერიიდან წარმოდგენილ პროექტის განხილვა.

მომხს.ა.ჩიქოვანი

7. საქართველოს საპატრიარქოს სურამისა და ხაშურის ეპარქიისათვის ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული 150 (ასორმოცდაათი) ერთეული რკინა-ბეტონის პარაპეტის თხოვების ფორმით გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ მერიიდან წარმოდგენილ პროექტის განხილვა.

მომხს.ა.ჩიქოვანი

კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს და ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ I საკითხზე მოისმინეს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის თავმჯდომარის ალექსანდრე ჩიქოვანის ანგარიში.

აზრი გამოთქვა: გიორგი ბერაიამ, ლაშა ლურსმანაშვილმა.

ღია კენჭისყრით (მომხრე-8, წინააღმდეგი-0)

კომისიამ გადაწყვიტა: ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის თავმჯდომარის ალექსანდრე ჩიქოვანის ანგარიში მიღებული იქნეს ცნობად.

თან ერთვის (დანართი-2 ფურცლად)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ II საკითხზე მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის თაობაზე

აზრი გამოთქვას: ვაჟა ხარშილაძემ, მიხეილ კაპანაძემ, გიორგი ბერაიამ.

ღია კენჭისყრით (მომხრე-8, წინააღმდეგი-0)

კომისიამ გადაწყვიტა: ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვისას გამოთქმული წინადადებები, შენიშვნები და მოსაზრებები წარედგინოს კანონის შესაბამისად საკრებულოს აპარატს.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ III საკითხზე მოისმინეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების ხელმძღვანელის ინფორმაცია 2018 წლის შესყიდვებზე.

აზრი გამოთქვას: გ.ბერაიამ, ვ.ხარშილაძემ, ა.სიმონიშვილმა.

ღია კენჭისყრით (მომხრე-8, წინააღმდეგი-0)

კომისიამ გადაწყვიტა: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების ხელმძღვანელის მ.გოგალაძის ინფორმაცია 2018 წლის შესყიდვებზე მიღებული იქნეს ცნობად

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ IV საკითხზე მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლისთვის“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან 138.6 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ-ის არსებობის ვადით გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ მერიიდან წარმოდგენილ პროექტზე.

აზრი გამოთქვას: ვაჟა ხარშილაძემ, მიხეილ კაპანაძემ, ზ.ტეფნაძემ.

ღია კენჭისყრით (მომხრე-8, წინააღმდეგი-0)

კომისიამ გადაწყვიტა: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი შეესაბამება კანონმდებლობას და შეტანილ იქნას განსახილველად საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ V საკითხზე მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლისთვის“ ხაშურის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მსუბუქი კონსტრუქციის კონტეინერის პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ მერიიდან წარმოდგენილ პროექტზე.

აზრი გამოთქვას: ა.ლურსმანაშვილმა, მ.კაპანაძემ, ზ.ტეფნაძემ.

ღია კენჭისყრით (მომხრე-8, წინააღმდეგი-0)

კომისიამ გადაწყვიტა: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი შეესაბამება კანონმდებლობას და შეტანილ იქნას განსახილველად საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ VI საკითხზე მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია შპს „ვიონი საქართველო“-სთვის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით ფართის გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ მერიიდან წარმოდგენილ პროექტზე.

აზრი გამოთქვას: ვაჟა ხარშილაძემ, მიხეილ კაპანაძემ, ზ.ტეფნაძემ.

ღია კენჭისყრით (მომხრე-8, წინააღმდეგი-0)

კომისიამ გადაწყვიტა: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი შეესაბამება კანონმდებლობას და შეტანილ იქნას განსახილველად საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ VII საკითხზე მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია საქართველოს საპატრიარქოს სურამისა და ხაშურის ეპარქისათვის ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული 150 (ასორმოცდაათი) ერთეული რკინა-ბეტონის პარაპეტის თხოვების ფორმით გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ მერიიდან წარმოდგენილ პროექტზე.

აზრი გამოთქვას: ა.სიმონიშვილი, ე.გოგალაძე, ზ.ტეფნაძემ.

ღია კენჭისყრით (მომხრე-8, წინააღმდეგი-0)

კომისიამ გადაწყვიტა: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი შეესაბამება კანონმდებლობას და შეტანილ იქნას განსახილველად საკრებულოს სხდომაზე.

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე



ზ. ტეფნაძე